კონსტრუქციული დასკვნა დიღომში, ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე ბილაინის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

დიღომში, ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე შენობა წარმოადგენს ორ სართულიან ნაგებობას, გეგმაში კვადრატული ფორმის გაბარიტული ზომებით 24.3X24.3 მ. შენობის მზის კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის კარკასი, სვეტები ორტესებრი კოჭებით, გადახურვა კომბინირებული – ლითონინს კოჭებით და ფერმებით.

ვიზუალური დათვალიერებით შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით ხდება არსებული ბრტყელი სახურავის ქანობიანი სახურავით შეცვლა ხის კონსტრუქციებით.

ზემოთ აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია და საფრთხეს არ უქმნის შენობის მზიდუნარიანობას.

ინჟინერ კონსტრუქტორი  **ა. კორტავა**